თითოეულმა მიიღო ის, რისი მიღებაც შეძლო

ვილნიუსის “ჟალგირისი” - თბილისის “დინამო”

გუშინ, გვიან საღამოს, ვილნიუსიდან თბილისში ჩამოფრინდა “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდი. ჩვენი კორესპონდენტი აეროპორტში შეხვდა გუნდის მწვრთნელს ალექსანდრე კოტრიკაძეს. ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

– “ჟალგირისთან” მატჩს განსაკუთრებულს ვერ დაარქმევ, მაგრამ გამორჩეული კი იყო. თამაში, როგორც მოველოდით, ისეთიც გამოდგა – მძიმე და მომქანცველი. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ვილნიუსელთა გუნდი რომ დღეს საკმაოდ ძლიერი საფეხბურთო კოლექტივია, ეჭვი არავის ეპარება. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ “ჟალგირისი” ტანმაღალი, ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. თუნდაც ის, რომ ყველაზე დაბალი ფეხბურთელის სიმაღლე 179 სანტიმეტრია, უკვე ბევრს ლაპარაკობს. ჩვენი მეტოქისთვის ეს იყო პირველი მატჩი საკუთარ მინდორზე და, სავსებით ბუნებრივია, ყველაფერს იღონებდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მძიმე, ტალახიანი გრუნტი, თქმა არ უნდა, მასპინძლებს ბევრად უადვილებდა ამოცანას და კიდევ ერთი: თბილისის “დინამო” ერთ–ერთი იშვიათთაგანი გუნდია, რომელიც ”ჟალგირისს” ჯერ არ დაუმარცხებია.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წინასწარ ვიცოდით და თამაშის სათანადო გეგმაც შევიმუშავეთ. ჩვენი პასიური თამაში “ჟალგირისს” დიდ უპირატესობას მისცემდა. საშიში იყო არა იმდენად კომბინაციები, რამდენადაც ერთობ სადა, სწორხაზოვანი თამაში – საჯარიმოში ჩამოკიდებული ბურთები, კუთხურები. მიზეზზე უკვე ვთქვი ზემოთ – “ჟალგირისის” საშუალო სიმაღლე 180 სანტიმეტრს საკმაოდ სჭარბობს. ჩვენი პასიური თამაში “ჟალგირისს” ტერიტორიულ უპირატესობასა და თავისი მთავარი კოზირის გამოყენების საშუალებას მისცემდა.

მაგრამ ერთია ჩანაფიქრი, მეორე – მისი განხორციელება. ძალზე ძნელია შეუტიო, თანაც თავიდანვე შეუტიო მეტოქეს, რომელიც საკუთარ მინდორზე თამაშობს. ახლავე ვიტყვი, რომ ასეთ რთული ამოცანა ჩვენს გუნდს კარგა ხანია არ გადაუწყვეტია. მთელი პირველი ტაიმი “დინამოს” კარნახით მიმდინარეობდა. გოლი, რომელიც სულაქველიძემ გაიტანა მეცხრამეტე წუთზე ჩქარეულის კუთხურის შემდეგ, ჩემი აზრით, ერთადერთი არ უნდა ყოფილიყო პირველ ორმოცდახუთ წუთში.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. საკუთარ მინდორზე მარცხის საფრთხის წინაშე მდგარი “ჟალგირისი”, ბუნებრივია, გარეშე მაცქერლის როლში ვერ დარჩებოდა. ვილნიუსელები შეტევაზე გადმოვიდნენ. სწორედ აქ ელოდა ნამდვილი გამოცდა “დინამოს”, პირველ რიგში კი მცველებსა და მეკარეს.

იმისათვის, რომ მნიშვნელოვან სპორტულ შედეგებს მიაღწიო, ცხადია, არ კმარა იერიშის კარგად წარმართვა, გუნდს თავის დაცვაც უნდა შეეძლოს. რა თქმა უნდა, ამ მიმართებით რაიმე სერიოზულ ძვრებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ უკვე შეიმჩნევა ერთგვარი გაუმჯობესება და, საერთოდ, გუნდი თანდათან პოულობს, ვიმეორებ, პოულობს და არა უკვე იპოვა თავისი სახე.

შესაძლოა დაიბადოს კითხვა: მაინც რის ხარჯზე გაიმარჯვა “დინამომ” მისთვის ამ მართლაც არახელსაყრელ პირობებში? წლევანდელ სეზონში გაცილებით უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ დინამოელებს ტექნიკისა და სისწრაფის რეალიზაციის საშუალება მისცა, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი: ფეხბურთელების

შეკავშირება. ერთიან გუნდად ჩამოყალიბებაა. ეს პროცესი ჯერ არ არის დასრულებული, არადა, ყოველი მორიგი გამარჯვება, ყოველი წარმატება თანდათან აახლოებს გუნდის ხელმძღვანელობის მიერ დასახულ ამ უპირველეს მიზანს.

მაგრამ დავუბრუნდეთ მატჩს. "დინამო" არათუ წარმატებით იცავდა თავის, შეტევაზეც გადადიოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სწრაფი კონტრიერიშები. საამისო საშუალებას მძიმე გრუნტი არ იძლეოდა. ბიჭები უაღრესად თავგამოდებით, ძალების მაქსიმალური დაძაბვით ახერხებდნენ ბრძოლის მეტოქის ნახევარზე გადატანას და საგოლე სიტუაციების შექმნასაც. თბილისელთაგან ვინმეს გამოყოფა არ იქნებოდა სწორი, თითოეულმა გაიღო ის, რისი გაღებაც შეძლო და ძალზე საჭირო ორი ქულაც ჩამოიტანა შინ.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:

თბილისის "დინამო": გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი (ფრიდონიშვილი, 89–ე წთ.), სვანაძე, სულაქველიძე, მახარაძე, შენგელია, ჩქარეული.

ვილნიუსის "ჟალგირისი": იურკუსი, ტურსკისი, მაჟეიკისი, გრაჟულისი, პანკრატიევი, კასპარავიჩუსი, დანისიავიჩუსი (ბუბლიაუსკასი, მე–10 წთ.), კრასავცევი, იაკუბაუსკასი, მალკიავიჩუსი, რასიუკასი.

მატჩს სჯიდა ალექსანდრე კირილოვი (მოსკოვი).

"ლელო", 19 მარტი, 1985 წ.